



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აგრარული ფაკულტეტი

მის: თამარ მეფის ქ. № 59
შერვაშიძის ქ. #53
4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 431 277766)
ელ. ფოსტა atsu@atsu.edu.ge

დამტკიცებულია:

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აგრარული ფაკულტეტის საბჭოს

დამტკიცებულია 2017 წლის 12 დეკემბრის ოქმი № 7
ფაკულტეტის დეკანი: _____ პროფესორი ქეთევან კინწურაშვილი



აგრარული ფაკულტეტის
კვლევითი პროფილი

აგრარული ფაკულტეტის კვლევითი პროფილი

1. ფაკულტეტის პროფილის დოკუმენტის მიზანი

აგრარული ფაკულტეტის კვლევითი პროფილი შექმნილია ქვეყნის პრიორიტეტების გათვალისწინებით (აგრარული სფერო; ინჟინერია; ტურიზმი) წინასწარ განსაზღვრული მიმართულებებით, სამეცნიერო კვლევების ჩატარებისა და მიღებული შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრირების მიზნით. კვლევითი პროფილის დოკუმენტში წარმოდგენილია ფაკულტეტზე წარმოებული კვლევების არსებული მდგომარეობა და სამომავლო პერსპექტივები.

2. გამოყენების სფერო

კვლევითი პროფილის დოკუმენტი, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართვით, ხელს შეუწყობს ფაკულტეტზე განათლების ხარისხის ამაღლებას.

ამასთან ფაკულტეტზე ჩატარებული კვლევების შედეგებს ფართო გამოყენება ექნება სოფლის მეურნეობის და ტურისტული ინდუსტრიის სხვადასხვა სფეროს, აგრარული და ტურისტული მიმართულების საწარმოებს, საბაჟოსა და აგრარულ ობიექტებში, ასევე სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

3. მოკლე სიტუაციური აღწერა

აგრარული ფაკულტეტის კვლევითი პროფილი ფართო და კომპლექსურია. ფაკულტეტის სამეცნიერო მუშაობის თემატიკა ინტეგრირებულია ერთობლივ თემებად, რომლის განხორციელებაში თავისი კომპეტენციის ფარგლებში ჩართულია:

ა) ფაკულტეტის 5 დეპარტამენტი (სუბტროპიკული კულტურების; აგრონომიულ მეცნიერებათა; აგროინჟინერიის; სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის; ტურიზმისა და ლანდშაფტური არქიტექტურის);

ბ) ფაკულტეტის დამხმარე სასწავლო-სამეცნიერო მეურნეობები (ნოსირის სასწავლო მეურნეობა, მუხიანის საკრებულოს გეგუთის სასწავლო მეურნეობა);

გ) აგრარულ მიმართულებათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი;

დ) საჭიროების შემთხვევაში, ის სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო ორგანიზაციები, რომლებთანაც გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება.

უკვე განხორციელებული და შემდგომში განსახორციელებელი კვლევების ფინანსური უზრუნველყოფა ხდება სხვადასხვა წყაროებიდან (ფაკულტეტის ბიუჯეტი; სხვადასხვა სამეცნიერო ფონდებიდან გამოყოფილი თანხები საგრანტო პროექტებისთვის; საერთაშორისო ერთობლივი პროექტების ფონდი; არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული საკონკურსო ფონდები; უნივერსიტეტის ბიუჯეტი, რომელიც ფინანსურად უზრუნველყოფს სამეცნიერო დატვირთვის შესრულებას; სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში შესრულებული კვლევები).

ფაკულტეტზე 2011 წლიდან სულ განხორციელებულია 25-მდე სამეცნიერო კვლევითი პროექტი საერთო დაფინანსებით 629 030 ლარი.

ამის გარდა, აღნიშნულ პერიოდში ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო ფონდებში საკონკურსოდ წარდგენილი იყო 9 საგრანტო პროექტი, რომელთაგან უმრავლესობას ჰქონდა მაღალი ქულები.

ფაკულტეტზე განხორციელებული საგრანტო პროექტები:

N	დასახელება	ფონდი N	კვლევის მიზანი	ბიუჯეტი ლარი	პერიოდი
1	ზეთისხილისათვის საგროტექნოლოგიის შემუშავება და დემონსტრირება ეწერ ნიადაგებზე (სამეგრელო, იმერეთის რეგიონებში)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	სამეგრელოსა და იმერეთის ნიადაგების ქიმიური თვისებების შესაბამისად სადემონსტრაციო ნაკვეთზე ზეთისხილის საადრეო ჯიშების პლანტაციის გაშენება; ზეთისხილის დაავადებებისა და მავნებლების გამოვლენას და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური ღონისძიებების შემუშავება; ზეთისხილის ნერგების გამოყვანის ეფექტური ხერხების დადგენა; შუალედური კულტურების შერჩევა ახალგაზრდა ზეთისხილის მწკრივთაშორისებში დასათესად.	99 895	01.10.2015-31.03.2016
2	სამეგრელოს ჭარბტენიან ალუვიურ ნიადაგებზე ახალგაზრდა თხილის პლანტაციის აგროეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესება სამეგრელოს – ნოსირის სასწავლო მეურნეობაში	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სამეგრელოს რეგიონის ალუვიურ ჭარბტენიან ნიადაგებზე გაშენებულ თხილის ახალგაზრდა პლანტაციაში, ნიადაგურ – ბიოკლიმატური პირობების შესწავლის საფუძველზე კვლევის შედეგებით მიღებული აგროეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესების ტექნოლოგიების გამოყენება.	16 000	2013 – 2014 წწ.
3	ზემო აფხაზეთის ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლება და მათზე თხილის პლანტაციის გაშენების ტექნოლოგიის დემონსტრირება	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	სამეგრელოსა და იმერეთის დაბალნაყოფიერი ნიადაგებზე შუალედური კულტურების გავლენის მეცნიერულ კვლევა, მათზე თხილის კულტურის გაშენების მიზნით, შესაბამისი ტექნოლოგიების დამუშავება და დემონსტრაცია.	134 614	01.03.2009-28.02.2012

ამჟამად მიმდინარე საგრანტო პროექტების რაოდენობა – 7

N	დასახელება	ფონდი	კვლევის	ბიუჯეტი	პერიოდი
---	------------	-------	---------	---------	---------

			მიზანი	ლარი	ი
1	ბიოეკოლოგიური მეთოდების გამოყენება ციტრუსოვანთა ჰიბრიდულ ნათესარებში და მათგან პერსპექტიული ფორმების გამორჩევა	აწსუ. აგრარული ფაკულტეტი	იმერეთის პირობებში შორეული ჰიბრიდიზაციის შედეგად მიღებული ციტრუსოვანთა ჰიბრიდული თესლნერგების ბიომორფოლოგიური თავისებურებების შესწავლა აგროტექნიკის ბიოლოგიური მეთოდების გამოყენების ფონზე და პერსპექტიული, შედარებით ყინვაგამძლე ფორმების გამორჩევა, როგორც საწყისი მასალა შემდგომი სელექციური მუშაობისათვის.	56 800.00	2017-2020
2	გრძელვადიანი ტრენინგები პრაქტიკოსი აგრონომებისთვის	USAID/REAP	პროექტი განკუთვნილია იმერეთის, სამეგრელოს და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონის პრაქტიკოსი აგრონომები-სათვის მეცნიერული კვლევის შედეგების გათვალისწინებით თეორიული და პრაქტიკული ინტენსიური კურსების შექმნისა და მათი განხორციელებისთვის.	60 360.00	2017-2018
3	სუბტროპიკული ზონის ზოგიერთი კულტურის აგროტექნოლოგიების სრულყოფის გზები	აწსუ ბიუჯეტი სამეცნიერო დატვირთვის შესრულებისთვის; ფაკულტეტი ს ბიუჯეტი ; სადოქტორო თემების კვლევების ბიუჯეტი	შეისწავლება: საქართველოში გავრცელებული სუბტროპიკული მცენარეების აგროტექნოლოგიის სრულყოფის საკითხები; სუბტროპიკული კულტურების გავრცელების არეალის გაფართოების შესაძლებლობები საქართველოს სხადასხვა ეკოლოგიურ რაიონებში; ზოგიერთი პერსპექტიული კულტურის რეაბილიტაციის გზები; ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების მოყვანის პერსპექტივები;	ყოველწლიურად 1485,0(D)x= 4455,0 2870აწსუx3 = 8610,0 სულ:13065	2017-2020 7425,0 (D): 5= 14350,0 აწსუ
4	„ სოფლის მეურნეობაში ენერგორესურსდა მზოგი სამანქანო ტექნოლოგიებისა და მათი ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებების	აწსუ ბიუჯეტი სამეცნიერო დატვირთვის შესრულებისთვის; ფაკულტეტი	შეისწავლება: სოფლის მეურნეობაში ტექნიკური საშუალებების საექსპლუატაციო თვისებების გაუმჯობესების შესაძლებლობები, ახალი სამექანიზაციო ტექნოლოგიები და სოფლის მეურნეობაში გამოყენებული სატვირთო	13065,0 ლარი	2017-2020

	„საექსპლუატაციო თვისებების გაუმჯობესება“.	ს ბიუჯეტი ; სადოქტორო თემების კვლევების ბიუჯეტი	ავტომობილების ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობები მათი საექსპლუატაციო თვისებების სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის გზით.		
	სუბტროპიკული და სხვა სასოფლო სამეურნეო ნედლეულის წარმოება, გადამუშავების ახალი ტექნოლოგიებისა და შესაბამისი ტექნოლოგიური მოწყობილობების დამუშავება“ „ლუდის შელესვისა და დუღილის პროცესების ინტენსიფიკაცია“	აწსუ ბიუჯეტი სამეცნიერო დატვირთვის შესრულებისთვის; ფაკულტეტი ს ბიუჯეტი ; სადოქტორო თემების კვლევების ბიუჯეტი	შეისწავლება . „სხვადასხვა სახის ჩაის პროდუქტის მიღება ტრადიციული და არატრადიციული ნედლეულის გამოყენებით“; „ჩაის პროდუქტების გამდიდრება არატრადიციული მცენარეული ნედლეულის გამოყენებით“; ხილის ჩაისა და ბალახეული ჩაის მიღების ტექნოლოგიები; საქართველოში ეთერზეთოვანი ვარდის საწარმოო ჯიშებისგან ეთერზეთის მიღების შესაძლებლობები; „ციტრუსოვანი ნედლეულიდან დაბალკალორიული დიეტური ცუკატის და ფუნქციონალური დანამატების წარმოების ტექნოლოგიური პროცესების ინტენსიფიკაცია და შესაბამისი მანქანა აპარატურული სისტემით უზრუნველყოფა“; ლუდის წარმოების ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა“; ღვინის შამპანიზაციის პროცესის გამოკვლევა.	12085,0 ლარი	2017-2020
6	„სუბტროპიკული ზონის გარემოს ლანდშაფტურ-ეკოლოგიური შეფასება , რეაბილიტაციის ღონისძიებები და ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები“;	აწსუ ბიუჯეტი სამეცნიერო დატვირთვის შესრულებისთვის; ფაკულტეტი ს ბიუჯეტი ; სადოქტორო თემების კვლევების ბიუჯეტი	ა) ლანდშაფტური არქიტექტურის მიმართულებით: შეისწავლის გარემოს რეაბილიტაციის ღონისძიებებს ლანდშაფტურ-ეკოლოგიური მდგომარეობის საფუძველზე და დასავლეთ საქართველოში მოზარდი დეკორაციული მცენარეების ზრდა-განვითარების თავისებურებებს გლობალური დათბობის ფონზე, შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებების დამუშავებით; ბ) ტურიზმის მიმართულებით შეისწავლის: იმერეთის ტურისტულ პოტენციალს; იმერეთში სოფლად ტურიზმის	9028,0 ლარი	2017-2020

			განვითარების ნორვეგიის გამოცდილების დანერგვის პერსპექტივებს.		
7	„მდგრადი ტურიზმი: მეწარმეობა სოფლად და კულტურული მემკვიდრეობა. თანამშრომლობა ყირგიზეთ, საქართველოსა და ნორვეგიას შორის საგანმანათლებლო სფეროში“	ნორვეგია	1) სტუდენტებისა და თანამშრომლების მობილობის ამაღლება სამ ქვეყანას შორის ცოდნის, კომპეტენტურობისა და პრაქტიკული უნარების გაცვლის მიზნით 2) სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ცოდნის გაღრმავება და მათი კვლევითი პოტენციალის ამაღლება მდგრად ტურიზმთან, სოფლად მეწარმეობასთან და კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საკითხებში 3) მდგრადი ტურიზმის, სოფლად მეწარმეობის და კულტურული მემკვიდრეობის სწავლებისთვის სწავლის მეთოდებისა და სასწავლო ლიტერატურის გაცვლის ხელშეწყობა 4) კვლევებზე და პრაქტიკაზე დაფუძნებული განათლების მიღების ხელშეწყობა აკადემიურ დაწესებულებებსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობით	5 995 300 კრონა ფაკულტეტის წილად 214 118 ლარი	2016-2019

ფაკულტეტის მიერ წარდგენილი საგრანტო პროექტები, რომლებიც ვერ დაფინანსდა

N	დასახელება	ფონდი	კვლევის მიზანი	ბიუჯეტი, ლარი	პერიოდი
9	„ჩანდლერის“ ჯიშის ამერიკული კაკლის აგროეკოლოგიური პირობების შესწავლა იმერეთსა და სამეგრელოს ეწერლებიან ნიადაგებზე“	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	იმერეთსა და სამეგრელოში გავრცელებულ დაბალნაყოფიერ, ეწერ-ლებიან ნიადაგებზე „ჩანდლერის“ ჯიშის კაკლის გაშენება; მისი მოვლა – მოყვანის აგროეკოლოგიური ტექნოლოგიების შემუშავება; ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება.	200 081.00 (მოიხსნა ტექნიკური ხარვეზის გამო)	2017-2019
8	„ლიმონის სორგოს“	შოთა	იმერეთისა და სამეგრელოს პირობებში სადემონსტრაციო ნაკვეთებზე	130 220. 00 (მოიხსნა	2017-2019

	აგროტექნოლოგიის შემუშავება დასავლეთ საქართველოს პირობებში" (იმერეთი, სამეგრელო)	რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ლიმონის სორგოს გაშენებას, მათი აკლიმატიზაციისა და ადაპტაციის პირობების შესწავლას, ლიმონის სორგოს ჩითილების გამოყვანის ეფექტური ხერხების დადგენას, კვლევის საფუძველზე მათ აგროსაწარმოო დარაიონებას.	ტექნიკური ხარვეზის გამო)	
7	„ახალი პოლიფუნქციური ადაპტოგენი (შექმნა, გამოკვლევა და ტექნოლოგიის შემუშავება)“	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	მაღალიბიოლოგიური ღირსების მცენარეული ადაპტოგენის შექმნა ადგილობრივი ნედლეულიდან და რეცეპტურული შემადგენლობის ოპტიმიზაცია.	210 000.00 (მოიხსნა ტექნიკური ხარვეზის გამო)	2017-2020
6	დაფნის სელექციის საწყისი მასალის შექმნა და შესწავლა მაღალპროდუქტიული ჯიშების გამოყვანის მიზნით	სსიპ- შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	პროექტის მთავარი მიზანია ერთ ადგილზე – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ქ. ქუთაისი, საქართველო) სამეცნიერო-კვლევით ბაზაში, რომელიც მდებარეობს ქ. ქუთაისის გარეუბანში, მუხიანის მუნიციპალიტეტში შეიქმნას დაფნის სელექციის საწყისი მასალის კოლექცია.	188 915 ლარი	2017-2020 წწ.
5	აგროლანდშაფტის თვისებების გაუმჯობესება მასობრივი განადგურების იარაღის მოქმედების გავლენისაგან	მტკუ და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	საიარაღო ზემოქმედების გავლენის რეგიონებში კომპლექსურად აგროლანდშაფტების ნიადაგურ-ბიოკლიმატური პირობების შესწავლა; მოსალოდნელი ცვლილებით დაზიანების დონის განსაზღვრა. მიკროკლიმატის, ფიზიკურ-ქიმიური თვისებების ცვლილებების დინამიკის განსაზღვრა; ახალი აგროეკოლოგიური ტექნოლოგიების შემუშავება საცდელი კულტურის გასაშენებლად.	70 000	2015 წელს წარდგინილი
4	ყვითელმიწა ეწერ ნიადაგებზე შინდის პლანტაციის გაშენების აგროტექნოლოგიების შერჩევა წყალტუბოს რაიონში	საქართველოს საპატრიარქოს ფონდი	მეცნიერული კვლევის შედეგად ზოთ აგროტექნოლოგია შინდის ურის პლანტაციის გასაშენებლად ლმიწა-ეწერ ნიადაგებზე წყალტუბოსის სოფელ გუმბრაში	28095	2014წ

3	<p>დაფნის Laurus nobilis L., მსოფლიო მასშტაბით პირველი სელექციური ქართული მაღალპროდუქტიული იული ჯიშისათვის, წარმოებაში დანერგვის დასაჩქარებლად, გენერაციული გამრავლების მეთოდის შემუშავება – სრულყოფა.</p>	<p>სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი</p>	<p>კვლევის მიზანია სამრეწველო პლანტაციებში და საკარმიდამო ნაკვეთებზე გაშენებული კეთილშობილი დაფნის სახეობა-პოპულაციის მცენარეების ჩანაცვლება მაღალპროდუქტიული სელექციური ჯიშით, მოკლე დროში, რაც მნიშვნელოვნად აამაღლებს წარმოების რენტაბელობის დონეს.</p>	<p>20000 ლარი</p>	<p>2014 – 2016 წწ.</p>
2	<p>დაფნის – Laurus - მსოფლიო გენოფონდის კოლექციის შექმნა და შესწავლა, სელექციისათვის მაღალპროდუქტიული ჯიშების გამოსაყვანად</p>	<p>სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი</p>	<p>ჩატარდეს დაფნის გვარის შემადგენელი ტაქსონების ინტროდუქცია, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან და ასევე საქართველოს რესპუბლიკის შიგარეგონებიდან. ინტროდუცირებული მასალის საფუძველზე, ერთ ადგილზე შეიქმნება დაფნის მსოფლიო გენოფონდის კოლექცია. პარალელურად კოლექციის სახეობა-ნიმუშების ყოველმხრივი შესწავლის გზით უნდა დადგინდეს სამეურნეო მაჩვენებლების რა პოტენცია შეიძლება არსებობდეს სელექციის ამა თუ იმ მიმართულებაზე და რა დონის მაღალპროდუქტიული ჯიშის გამოყვანა იქნება შესაძლებელი ცაკეული მიმართულების მიხედვით.</p>	<p>134200 ლარი</p>	<p>2013- 2015 წწ.</p>
1	<p>დაფნის – Laurus nobilis - მაღალპროდუქტიული იული ჯიშისათვის, გენერაციული გამრავლების მეთოდის შემუშავება – სრულყოფა.</p>	<p>აწსუ – შიდასაუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსი</p>	<p>პროექტით გათვალისწინებული კვლევის მიზანია საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სამრეწველო პლანტაციებში და საკარმიდამო ნაკვეთებზე გაშენებული კეთილშობილი დაფნის სახეობა-პოპულაციის მცენარეები, რაც შეიძლება მოკლე დროში, შეიცვალოს მაღალპროდუქტიული სელექციური ჯიშით.</p>	<p>18000 ლარი</p>	<p>2013 – 2015 წწ</p>

ინფორმაციები/მასალები ფაკულტეტზე უკანასკნელ პერიოდში განხორციელებულ კვლევებზე ასახულია სხვადასხვა სამეცნიერო პერიოდულ, რეფერირებად გამოცემებში (ჟურნალები), საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციების შრომათა კრებულებში, იტერნეტ ჟურნალებში, მონოგრაფიებსა და მეთოდოლოგიებში. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ დამუშავებულია და გამოცემულია სახელმძღვანელოები.

უკანასკნელი 5 წლის მანძილზე აგრარულ ფაკულტეტზე, კვლევითი მიმართულებების მიხედვით, გამოცემულია 121 დასახელების სამეცნიერო ლიტერატურა (სახელმძღვანელო, მონოგრაფია და მეთოდური მითითება). ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებულია საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნის რეიტინგულ ჟურნალებში (მათ შორის იმპაქტ ფაქტორიანებში). **უკანასკნელ პერიოდში სულ გამოქვეყნებულია 250-დე სამეცნიერო სტატია, რომლებშიც ასახულია ფაკულტეტზე მიმდინარე სამეცნიერო კვლევების შედეგები.**

დამუშავებული სამეცნიერო პროექტების ფარგლებში მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებულია მრავალი შრომა, მათ შორის ინფაქტ-ფაქტორის მქონეში:

1. R.Kopaliani, Sh.Kapanadze, G.Gecadze. Connection Between The Laurel Essential Oil Content And The Plant Generative Reproduction Features – Agrocultural Sciences Academic Publishing House of the Agricultural University, Volume 9, Issue 21, Plovdiv, pg.27-35
2. Ш.Капанадзе, Р. Копалиани. Оптимальные сроки закладки плантации высокомасличной формы лавра благородного путем посева семян- научный журнал– „ИНТЕРНАУКА“, част 1. 5(9), Москва, стр. 50-53
3. Kintsurashvil K.M.,Kopaliani T.Z. Morphological-Anatomical Analysis Of Raspberry Leaves (*Rubus Idaeus*), Open Access Peer-reviewed Journal Science Review 7(7) vol.2. Publisher – RS Global Sp. z O.O., Scientific Educational Center Warsaw, Poland, December 2017y, pg. 9- 13
4. Melkadze R. Dolidze P.,Kintsurashvili K.. Method for producing caffeine from tea and express method of its testing. International Journal of Applied Research. (ISRA) Impact Factor: 5,23. ISSN Print2394-7500/ ISSN Online 2394-5869. 2016y, pg.822–824
5. Kintsurashvili K. Melkadze R. Technology of the garlic paste. Proceedings of 2 nd European Conference on Natural Products. Germany.Frankfurt am Main, 6-9 September 2015y, pg.148 –151
6. Kintsurashvili K. Melkadze R. Some physical and chemical characteristics of the Georgian garlic. Proceedings of 2 nd European Conference on Natural Products. Germany.Frankfurt am Main, 6-9 September. 2015y pg.151 –154
7. Kintsurashvili K. Melkadze R. The Phenolic complex and antioxidant activity of Caucasian Blakberry (*Rubus caucasicus L*) leaves, Cambridge Journal of Education and Science #1 V. II, Impact-factor 5,275, England, January-June 2015y, pg.150-155
8. K. Kintsurashvili, R. Melkadze, “Adaptable properties of bioactive “Grail”. International Journal of Advanced Multidisciplinary Research (IJAMR) 2(3): (2015): XX-XX. Pg..1-8 [Publication Impact Factor (PIF) of 1.015. Powerd by Internatiolnal Institute of Organized Research (I2OR) pg..275- –279
9. Melkadze R. Kintsurashvili K.-Radioprotective properties of bioactive additive “Grail”. “East West” Association for Advanced Studies and Higher Education. GmbH, Vienna, Austria 2014. Y. pg..228 – 237
10. Кинцурашвили К., Гогишвили Н. Исследования температурных параметров сушки профилированной массы хурмы. сборник статей международной научно-проктической конференций «Наука, техника и инновационные технологии в эпоху могущества и счастья»

11. Кинцурашвили К. Мелкадзе Р.Цивадзе Л. Адаптогенные свойства бальзама "ГРААЛ " Известия Академии Наук Грузии. Биологическая серия А Т.35 N3-4 г. Тбилиси 2009 г. Ст. 215- 226
12. Микаберидзе М.Ш., Кинцурашвили К.М. Интенсификация технологических процессов производства низкокалорийных диетических цитрусовых цукатов и функциональных добавок, Аэкономика: экономика и сельское хозяйство, Электронный научный журнал Т.18 N6 2017 <http://aeconomy.ru/science/agro/intensifikatsiya-tekhnologicheskikh/>
13. Микаберидзе М.Ш., Чакветадзе Ш. М., Пруидзе М. Р. Интенсификация процессов сушки ягод в поле ИК лучей. Аэкономика: экономика и сельское хозяйство Т.20 N 2017
14. L. Shulgina, I. Khasaia, M. Tkeshelashvili. Indicators of Tourist Enterprises Marketing Management Efficiency and Sustainable Development. Scientific journal: Management and SustainableDevelopment2/2012(33),p84-89 http://oldweb.ltu.bg/jmsd/files/volumes/msd_33.pdf
15. I.Khasaia, M.Chumburidze. To the plane theory of Dynamic Problems of couple-stress elastothermodiffusion. World Academy of Science, Engineering and Technology. ISSN 2010-376X, Paris, France, 2011, pp. 954-957
16. Шарабидзе Н.Р. SWOT-АНАЛИЗ НАЦИОНАЛЬНОГО ТУРИСТИЧЕСКОГО ПРОДУКТА - КУТАИСИ - Economics, management, law: problems and prospects: Collection of scientific articles. Vol. 2. - Agenda Publishing House, Coventry, United Kingdom, 2015.251-253. ISBN 978-617-7214-07-5
17. Шарабидзе Н. Р.Туризм — важное направление развития экономики Грузии, ВОПРОСЫ ЭКОНОМИКИ И УПРАВЛЕНИЯ Международный научный журнал, ISSN 2412-3773, № 5 (07) / 2016,88-91
18. Шарабидзе Н.Р. АНАЛИЗ ПЕРСПЕКТИВ ДЕЛОВЫХ ТУРОВ ДЛЯ РАЗВИТИЯ ЭКОНОМИКИ КУТАИСИ, Geopolitical processes in the world today: Collection of scientific articles. -"East West" Association For Advanced Studies and Higher Education GmbH,Vienna, Austria, 2016, 246-250. ISBN 978-3-903115-63-7
19. Шарабидзе Н.Р. ИССЛЕДОВАНИЕ ПЕРСПЕКТИВЫ РАЗВИТИЯ СЕЛЬСКОГО ТУРИЗМА В СЕМЕЙНЫХ ХОЗЯЙСТВАХ ИМЕРЕТИ.// Наука, техника и образование. №11 (41), Москва, 2017. С.37-41, ISSN2312-8267.

აგრარული ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ბაზის, მატერიალურ-ტექნიკური და ინფრასტრუქტურული სრულყოფის მიზნით მიმდინარე პერიოდში მოწესრიგებულია გარემო და შეძენილია (185392,1ლ) ლაბორატორიული აღჭურვილობა და დეგეგმილია ახლის შექმნა (45200 ლარი). დაგეგმილია ტურისტული სერვისის განმახორციელებელი პროგრამით აღჭურვილი კლასის მოწყობა დაახლოები 24 000 ლარის ფარგლებში და ინტერდისციპლინარული საფაკულტეტო სამეცნიერო-კვლევითი გრანტის განხორციელება წლიური ბიუჯეტით 30000-დე.

4. სიტუაციური ანალიზი (SWOT)

1. ძლიერი მხარეები / გარე მხარდამჭერი გარემოებები

- 1.1 აგრარულ ფაკულტეტის კვლევითი საქმიანობის ძლიერი მხარეა სოფლის მეურნეობის სპეციფიური დარგის, სუბტროპიკული მეურნეობის,

- განვითარებისკენ მიმართული კვლევები, ამ მიმართულებით მომუშავე აკადემიური პერსონალის (მეცნიერ - მკვლევარების) სამეცნიერო კვალიფიკაცია და საკვლევო მასალის (სუბტროპიკული ნედლეული) უნიკალურობა;
- 1.2 წარმოებული კვლევებისა და კვლევის ობიექტის სპეციფიურობა;
 - 1.3 ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის, ბაკალავრების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ერთობლივი მონაწილეობის არსებული პრაქტიკა ;
 - 1.4 ფაკულტეტის თანამშრომლების მიერ სამეცნიერო ფონდებში საკონკურსოდ წარდგენილი და დაფინანსებული პროექტების დიდი რაოდენობა;
 - 1.5 აკადემიური პერსონალის მაღალი ჩართულობა საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში;
 - 1.6 აკადემიური პერსონალის მიერ კვლევის შედეგების გამოქვეყნების მაღალი მაჩვენებელი;
 - 1.7 კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრაცია, შესაბამისი სასწავლო მასალის შექმნა;
 - 1.8 ურთიერთთანამშრომლობა სასწავლო და კვლევით დაწესებულებებთან, მოქმედ წარმოებებთან და რეგიონალურ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
 - 1.9 მეცნიერების განვითარებისთვის საუნივერსიტეტო მიდგომები და ხელმძღვანელობის დადებითი დამოკიდებულება სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელების მხარდასაჭერად;
 - 1.10 აგრარულ ფაკულტეტზე წელიწადში 2-ჯერ გამოცემა (იმერეთის აგროეკოლოგიური ასოციაციის დაფინანსებით) დარგობრივი რეფერირებადი ჟურნალი „აგროNEWS“;
 - 1.11 ფაკულტეტის კვლევით საქმიანობას აძლიერებს სხვა გარე გარემოებები, კერძოდ: სახელმწიფო პრიორიტეტები (სოფლის მეურნეობა, ტურიზმი); სოფლის მეურნეობის განვითარებისკენ მიმართული სახელმწიფო პროგრამები: „აწარმოე საქართველოში“; „ჩაის რეაბილიტაციის პროგრამა“ და ის სხვა სახელმწიფო პროგრამები, რომელთა განხორციელება, მიმართულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდისა და მოსახლეობის სოციალურ - ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ;
 - 1.12 კვლევის შედეგები შეიძლება იყოს გამოყენებული, როგორც სასწავლო პროცესში, ისე კვლევითი პროფილის შესაბამისი დარგების (ჩაის, თამბაქოს, ეთერზეთოვნების, ციტრუსების და სხვა სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების განვითარებით დაინტერესებული ყველა პირისა და სტრუქტურის მიერ; სამომხმარებლო ბაზრის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა და სოფლის მოსახლეობის მატერიალური შემოსავლის ზრდისათვის (კვლევის შედეგების კომერციალიზაცია).

2. სუსტი მხარეები / გამოწვევები

- 2.1. უცხო ენის (ინგლისური, გერმანული) მცოდნე აკადემიური პერსონალის ნაკლებობა;
- 2.2. საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, ასევე წამყვან უმაღლეს სასწავლო და სამეცნიერო ინსტიტუტებთან ერთობლივ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობის და კვლევების ინტერნაციონალიზაციის არასაკმარისი დონე;
- 2.3. საერთაშორისო მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნების, შრომების ციტირების ინდექსის შედარებით დაბალი მაჩვენებლები;

- 2.4. სამეცნიერო კვლევების დაფინანსების წყაროების სიმცირე;
- 2.5. შედარებით სუსტი კოოპერაცია დამსაქმებლებთან.

5. არსებული და პოტენციური პარტნიორები

საჯარო სექტორი - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და სამეგრელოს რეგიონების, სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონსულტაციო ცენტრები, სოფლის მეურნეობის სამინისტროს წყალტუბოს საკონსულტაციო ცენტრი, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთისა და გურიის რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატა, სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო.

უნივერსიტეტები/ინსტიტუტები - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ნორვეგიის სამხრეთ-აღმოსავლეთის უნივერსიტეტი (HSN), სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი,

კერძო სექტორი - შ.პ.ს. „ჭერბია“; შ.პ.ს. „ადინა“; შ.პ.ს. „აგრობიზნესისა და აგროეკოლოგიის საზოგადოებრივი კოლეჯის სასწავლო მეურნეობა“; „თხილის მწარმოებელთა ასოციაცია“, შპს „აგრიჯორჯია“; შპს „GREENVILLAGE“; შპს „მექანიზატორი“; შპს „ტრაქტორსერვისი“, შპს „თეგეტა მოტორსი“; შპს „აგროსერვისი“; ააიპ „ქ. ქუთაისის ბოტანიკური ბაღი“; ააიპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი“; შპს «TCF GEORGIA “; შპს “GEONUT “; ქ. ქუთაისის დეკორაციულ მცენარეთა სანერგე ი/ს „ნემო კაკუშაძე“; შპს “FloraWestland” ; შპს „ჯეო-აგრო-პროდუქტი“; შპს „თერნალი+“; შპს „უნიფარმი“; შპს „მიკრობიოლოგი“; შ.პ.ს. „ბაგრატი 1003“ (სასტუმრო კომპლექსი); შ.პ.ს. „ვონდერლანდი“ (ტურისტული სააგენტო); შ.პ.ს. ქუთაისის ტურიზმისა და ექსკურსიების ბიურო; ინდ.მეწარმე მელანო ბოჭორიშვილი (ტურისტული სააგენტო); სასტუმრო „მონოპოლი“; შ.პ.ს. ედელვაისი -სასტუმრო პრომეთე.შპს „გუდთრეველი“, სასტუმრო „წყალტუბო პლაზა“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, შ.პ.ს. "კოლხეთი, შ.პ.ს. "ტობე"

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები - USAID /REAP, PIN

6. ადამიანური რესურსები

აგრარულ ფაკულტეტზე კვლევითი პროფილის ფორმირებას და მის განხორციელებას უზრუნველყოფს კვალიფიციური აკადემიური, დამხმარე პერსონალი, მოწვეული სპეციალისტი და სტუდენტები

სულ: 67

- ემერეტუსი 4
- პროფესორი 5
- ასოცირებული პროფესორი 24
- ასისტენტ-პროფესორი 4
- ლაბორანტი 5
- მოწვეული სპეციალისტი 5
- დოქტორანტი 20

7. მატერიალური რესურსები

აგრარული ფაკულტეტი უზრუნველყოფილია კვლევების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით: შესაბამისი ლაბორატორიები; საცდელი ნაკვეთები, ხელშეკრულებით გაფორმებული ორგანიზაციების ინფრასტრუქტურა, იმ ორგანიზაციების ინფრასტრუქტურა, რომლებთანაც ხელშეკრულებებია გაფორმებული (დანართი 1).

8. განვითარების მიზნები

აგრარული ფაკულტეტის კვლევითი საქმიანობის განვითარების მიზნები დაკავშირებულია კვლევის სპეციფიკასა და ქვეყნის განვითარების პრიორიტეტებთან. ფაკულტეტი, როგორც ყოფილი საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტრადიციების გამგრძელებელი, უპირატესად ორიენტირებულია საქართველოს სპეციფიური დარგის - სუბტროპიკული მეურნეობის, ასევე ტურიზმის, აგრობიზნესის და დეკორაციულ მცენარეთა შესწავლისა და გამოყენების გზით, ლანდშაფტური არქიტექტურის განვითარებასა და მასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით ფაკულტეტის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- კვლევითი გარემოს (research environment) გაუმჯობესება - სათანადო ინფრასტრუქტურა (ლაბორატორიები, აპარატურა, საველე სამუშაოს უზრუნველყოფა და ა.შ.);
- კვლევაზე მოზიდული სახსრების (research income) გაზრდა - ადგილობრივი და/ან საერთაშორისო გრანტების თუ პირდაპირი დაკვეთების ფორმით, კონფერენციები და ა.შ.;
- კვლევის შედეგის (research output) აღიარება - პუბლიკაციები მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე გამოცემებში (ციტაციის კოეფიციენტი), პატენტები და ა.შ.;
- სტუდენტების მონაწილეობა კვლევით საქმიანობაში, ახალგაზრდა კვლევითი კადრების მომზადება;
- ერთობლივი კვლევითი და კომერციული პროექტების დაგეგმვა/განხორციელება;
- საკონსულტაციო და სასერტიფიკაციო მომსახურების განვითარება დეპარტამენტებთან არსებული ლაბორატორიების შესაძლებლობების გამოყენება-გამძიერებით. (ნიადაგის სტრუქტურის დადგენა; ნიადაგების შემადგენლობის განსაზღვრა, ნიადაგის მჟავიანობის დადგენა; მავნებლებთან ბრძოლის საშუალებებისა და მეთოდების განსაზღვრა; კვების პროდუქტების ექსპერტიზა და სხვ.)

მომავალი პერიოდისთვის ფაკულტეტის კვლევითი პროფილი იქნება:

თემა 1: საქართველოს სუბტროპიკული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების შერჩევის (ნიადაგურ-კლიმატური და სხვ. გათვალისწინებით), მცენარეთა დაცვის, მოვლა-მოყვანის, ტექნიკური სერვისის უზრუნველყოფით მათი მექანიზაციისა და მცენარეული ნედლეულის შენახვა-გადამუშავების ტექნოლოგიების დამუშავება.

თემა 2: საქართველოში მოზარდი დეკორაციული მცენარეების ზრდა-განვითარების თავისებურებების დადგენა, გარემოს ლანდშაფტურ-ეკოლოგიური შეფასება, სარეაბილიტაციო ღონისძიებების დამუშავება და საქართველოს ტურისტულ-რეკრიაციული რესურსების გამოვლენა მდგრადი ტურიზმისა და სოფლად ტურიზმის განვითარების პერსპექტივებით.

ფაკულტეტის კვლევითი პროფილი წარმოადგენს, სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებულ პერიოდში, ფაკულტეტის სტრუქტურულ ერთეულებში შესასრულებელი შემდეგი კვლევების ინტეგრირების შედეგს:

N	კვლევითი ერთეული	კვლევის ქვეთემები	ადამიანური და მატერიალური რესურსები
1	აგრარულ მიმართულებათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	ბიო-ეკოლოგიური მეთოდების გამოყენება ციტრუსოვანთა ჰიბრიდულ ნათესარებში და მათგან პერსპექტიული ფორმების გამორჩევა.	პროფესორი 1 ასოც.პროფესორი 1 ემერეტუსი 3 ტექნიკური პერსონალი 3 აგრარული ფაკულტეტის ციტრუსოვან მცენარეთა სადემონსტრაციო ნაკვეთი
2	აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტი	<p>2.1.პამიდორის ტრაქეომიკოზური ჭკნობა და მის წინააღმდეგ ეკოლოგიურად უსაფრთხო ღონისძიებების შემუშავება</p> <p>2.2. ფილოქსერაგამძლე ვაზის საძირეთა სადედის გაშენების სქემის ოპტიმიზაცია და ყლორტების აღზრდის რაციონალური წესები.</p> <p>2.3. ჭარბტენიანი ნიადაგების ქვეშ დაკავებული თხილის კულტურის განვითარების პერსპექტივები</p>	პროფესორი: 2 ასოცირებული პროფესორი: 6 ასისტენტ-პროფესორი: 1 ლაბორანტი: 2 მოწვეული სპეციალისტი: 2 სტუდენტები მატერიალური რესურსი: დეპარტამენტის მატერიალურ - ტექნიკური ბაზა (იხ.დანართი 1)
3	სუბტროპიკული კულტურების დეპარტამენტი	<p>3.1.მიტოვებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია და შემდგომი აგროტექნოლოგიის დამუშავება</p> <p>3.2.ლურჯი მოცვის სხვადასხვა ჯიშის აგრობიოლოგიური და სამეურნეო თავისებურებების შესწავლა</p>	პროფესორი: 1, ასოცირებული პროფესორი: 3, ასისტენტ პროფესორი: 1, ლაბორანტი: 2 სპეციალისტი: 1 სტუდენტები მატერიალური რესურსი (იხ.დანართი 1)
4	ტურიზმისა და	4.1. ქალაქების და სხვა დასახლებული	ასოცირებული

	<p>ლანდშაფტური არქიტექტურის</p>	<p>ტერიტორიების გარე სივრცეების ლანდშაფტურ-ეკოლოგიური მდგომარეობის კვლევით რეაბილიტაციის ღონისძიებების შემუშავება და არსებული დეკორაციული მცენარეების გარემოსადმი ადაპტაციის ხარისხის კვლევა გლობალური დათბობის ფონზე</p> <p>4.2. მაგნოლიასებრთა ოჯახის წარმომადგენლების ბიოეკოლოგია და მათი გამოყენება მწვანე მშენებლობაში</p> <p>4.3. სოფლად ტურიზმის განვითარების ნორვეგიის გამოცდილების დანერგვის პერსპექტივები იმერეთში (კვლევები ნორვეგიასა და იმერეთში)</p> <p>4.4. ინდუსტრიული, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა, როგორც ტურისტული რესურსი (კვლევები ნორვეგიასა და იმერეთში)</p> <p>4.5. ქუთაისის, როგორც ტურისტული ცენტრის და დასავლეთ საქართველოს რეგიონების ტურისტული პოტენციალის, ინფრასტრუქტურისა და საწარმოთა ადამიანური რესურსების კვლევა</p> <p>4.6. დასავლეთ საქართველოს რეგიონებისთვის მიმზიდველი და პერსპექტიული ტურების შემუშავება და კვლევა</p>	<p>პროფესორი: 10, ასისტენტ-პროფესორი: 1 ლაბორანტი: 1 სპეციალისტი:1 ოპერატორი:1 მოწვეული სპეციალისტი:3 სტუდენტები მატერიალური რესურსი (იხ. დანართი1)</p>
5	<p>აგროინჟინერიის დეპარტამენტი</p>	<p>5.1.სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისათვის ინოვაციური მანქანური ტექნოლოგიების შემუშავება შესაბამისი ტექნიკითა და სერვისის უზრუნველყოფით</p> <p>5.2.სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვების ეფექტურობის ამაღლება სატრანსპორტო ოპერაციების ორგანიზაციისა და მართვის რაციონალური მეთოდების შემუშავებით.</p>	<p>ემერეტუსი : 1 ასოცირებული პროფესორი: 8 ლაბორანტი: 3 მოწვეული სპეციალისტი:2 ოპერატორი: 1 სტუდენტები მატერიალური რესურსი (დანართი 1)</p>
6	<p>სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის დეპარტამენტი</p>	<p>6.1.სხვადასხვა სახის ჩაის, ჩაისმაგვარი პროდუქტის და კოფენის მიღება ტრადიციული და არატრადიციული ნედლეულის გამოყენებით</p> <p>6.2 მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მცენარეული ბიოდანამატების წარმოების ტექნოლოგია</p> <p>6.3. ეთერზეთოვანი ვარდის სხვადასხვა ჯიშისა და ფორმის აგრობიოლოგიური და სამეურნეო თავისებურებების შესწავლა აღმოსავლეთ საქართველოს ნახევრადტენიან სუბტროპიკულ ზონაში და „ტაილანდური ვარდის“ ეთერზეთის მიღების ტექნოლოგიის დამუშავება მისი</p>	<p>პროფესორი: 2 ასოცირებული პროფესორი:6 ასისტენტ-პროფესორი: 1 ლაბორანტი: 3 ოპერატორი: 1 სტუდენტები მატერიალური რესურსი: დეპარტამენტის</p>

		ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებით	მატერიალურ - ტექნიკური ბაზა (იხ. დანართი1)
		6.4. თამბაქოს ფერმენტაციის პროცესის პარამეტრების გამოკვლევა ფერმერული მეურნეობის პირობებში და თამბაქოს შრობის ენერგოდამზოგი ტექნოლოგიის დამუშავება საველე პირობებში	
		6.5 ხილ-ბოსტნეულის შენახვა-გადამუშავების პარამეტრების დამუშავება და ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმიზაცია.	

ერთობლივი ინტერდისციპლინარული კვლევები

7	<p>აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტი;</p> <p>აგროინჟინერიის დეპარტამენტი</p> <p>სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის დეპარტამენტი</p>	<p>თხილის კულტურის სამრეწველო პლანტაციების გაშენების აგროეკოლოგიური მონიტორინგი და მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებები. თხილის პლანტაციების მოსავლიანობის ამაღლება სამამულო წარმოების ბიოპრეპარატისა და ბიოსასუქის შეტანის მანქანური ტექნოლოგიების დამუშავებით, თხილის შენახვის დროს მიმდინარე ქიმიური ცვლილებების შესწავლა და შენახვის ტექნოლოგიის ოპტიმიზაცია</p>	<p>კონკრეტულ ამოცანებზე იმუშავებენ შესაბამისი დეპარტამენტის პროფესორები და სტუდენტები.</p>
8	<p>აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტი;</p> <p>სუბტროპიკული კულტურების დეპარტამენტი</p> <p>სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის დეპარტამენტი</p> <p>აგროინჟინერიის დეპარტამენტი</p>	<p>კენკროვანი კულტურების აგრარული ტექნოლოგიები</p>	<p>კონკრეტულ ამოცანებზე იმუშავებენ შესაბამისი დეპარტამენტის პროფესორები და სტუდენტები</p>

შედეგი:

1. პროექტის შესრულებით დადასტურდება ლიმონისა და ფორთოხლის ყინვაგამძლეობის ამაღლების შესაძლებლობა დემონსტრირებით, მოხდება ციტრუსოვანთა შეჯვარების კომბინაციების შერჩევა და მათი კულტივენებისათვის შორეული ჰიბრიდიზაციის მეთოდის შემუშავება.

2. შერჩეული იქნება ნიადაგების ნაყოფიერების და სტრუქტურის გაზრდის, მცენარეთა დაცვის საშუალებების საუკეთესო მეთოდები; მოხდება ახალი და პერსპექტიული კულტურების

- დარაიონება; სასოფლო-სამეურნეო კულტურების აგროტექნოლოგიური რუკების შედგენა და სხვ.
3. შემუშავებული იქნება მიტოვებულ ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციისათვის გასხვლის ოპტიმალური წესები; შესწავლილი იქნება ლურჯი მოცვის სხვადასხვა ჯიშის აგრობიოლოგიური და სამეურნეო თავისებურებები
 4. კვლევის შედეგები იქნება გამოყენებული ადამიანის საარსებო გარემოს (ინტერიერი და ექსტერიერი) პირობების გაუმჯობესებაში, ასევე სოფლის მოსახლეობის მატერიალური შემოსავლის ზრდისათვის დეკორაციულ მცენარეთა სანერგეების შექმნის სახით, რადგანაც დეკორაციული მცენარეები მეტად ძვირადღირებულია.
მაგნოლიასებრთა ოჯახში შემავალი მრავალი გვარის სახეობები ხასიათდებიან მაღალი დეკორაციული თვისებებით, მოხდება კვლევა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მათი ადაპტაცია-აკლიმატიზაციის გამწვანებაში მათი გამოყენების მიზნით.
ტურიზმის მიმართულებით შესწავლილი იქნება იმერეთის ტურისტულ პოტენციალი; იმერეთში სოფლად ტურიზმის განვითარების ნორვეგიის გამოცდილების დანერგვის პერსპექტივები, იმერეთის ინდუსტრიული, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ტურისტულ რესურსად გამოყენების შესაძლებლობები. ქუთაისის, როგორც ტურისტული ცენტრისა და ეროვნული ტურისტული პროდუქტის თავისებურებები და შესაძლებლობები; დასავლეთ საქართველოს რეგიონებისთვის მიმზიდველი და პერსპექტიული ტურების შემუშავების და დანერგვის პერსპექტივები.
 5. შემუშავებული იქნება ტექნიკური, საწარმოო, მენეჯერული და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის სამეცნიერო-პრაქტიკულ ღონისძიებათა კომპლექსი უახლესი მანქანური ტექნოლოგიების სწრაფად დანერგვისთვის.
 6. სუბტროპიკული და სხვა სასოფლო სამეურნეო ნედლეულის წარმოებისა და გადამუშავების ახალი ტექნოლოგიებისა და შესაბამისი ტექნოლოგიური მოწყობილობების დამუშავების შედეგად გაუმჯობესდება ჩაის, თამბაქოს, ეთერზეთოვნების, ხილ-ბოსტნეულის, ლუდისა და ღვინის გადამუშავების ტექნოლოგიური პარამეტრები, შესწავლილი იქნება მათი ქიმიური შედგენილობა, დამუშავებული იქნება კვლევის ახალი მეთოდები და აპარატურული მოწყობილობები, ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების ახალი პროდუქტები.
 7. მოხდება თხილის მოზარდი პლანტაციის ფორმირება, საცდელ ნაკვეთზე აგროსამელიორაციო სამუშაოების შესრულება, სამექანიზაციო სამუშაოების განხორციელება, მოსავლის არება და კვლევის მიმდინარეობისას ქიმიური ცვლილებების შესწავლა, თხილის შენახვის პარამეტრების განსაზღვრა და შენახვის ტექნოლოგიის ოპტიმიზაცია
 8. სამეგრელოს რეგიონის ნიადაგების მექანიკური, აგროქიმიური შედგენილობისა და ბიოკლიმატური პირობების შესაბამისად მოხდება მცენარეთა მავნებელ - დაავადების დადგენა კენკროვანი კულტურებისათვის, ღია გრუნტში გასაშენებლად; შეირჩევა კენკროვანი კულტურების გასაშენებლად ნიადაგის დამუშავების აგრომექანიზაციული ტექნოლოგიები; მოხდება კენკროვნების შენახვა და პირველადი დამუშავების (ლაბორატორიული და კამერალური დამუშავების) კვლევები.

წარმოდგენილი თემების ეგიდით განხორციელებული სამეცნიერო კვლევების პრიორიტეტულობა ქვეთემების მიხედვით შეფასდება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ხილვადობის გათვალისწინებით.

9. ინტერნაციონალიზაციის პერსპექტივები

ამჟამად ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი მონაწილეობს 3 საერთაშორისო პროექტში:

1. „მდგრადი ტურიზმი: მეწარმეობა სოფლად და მემკვიდრეობა. თანამშრომლობა საგანმანათლებლო სფეროში საქართველოს, ყირგიზეთსა და ნორვეგიას შორის“- ნორვეგია
2. “გრძელვადიანი ტრენინგები პრაქტიკოსი აგრონომებისთვის“- USAID/REAP
3. ჩეხეთის მთავრობისა და ამავე სახელმწიფოს დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციის -PIN ის მიერ განხორციელებული პროექტი „სწავლების ხარისხის ამაღლება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში“

დარგში არსებული გლობარულ პრობლემებზე მუშაობის მიზნით, როგორც საანგარიშო-ექსპერიმენტული კვლევების მეთოდოლოგიურ ღონისძიებათა კომპლექსის დამუშავების, ისე ექსპერიმენტების დაგეგმვა-რეალიზაციის მიმართულებით მოხდება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გააქტიურება უცხოური სასწავლო და სამეცნიერო უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტების დარგის წამყვანი სპეციალისტების ჩართულობის გზით;

აკადემიური პერსონალი ინტერნაციონალიზაციის მიზნით დაგეგმილია უცხო ენის ცოდნის ღონის ამაღლება (ინგლისური ენის შემსწავლელი ინტენსიური კურსების გამოყენებით) და ევროპის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებთან (პროფილიდან გამომდინარე) გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა.

აკადემიური პერსონალი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო კონფერენციებში, სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში და შესაძლებლობის ფარგლებში გაივლის სტაჟირებას საზღვარგარეთ.

ტურიზმის მიმართულებითა და სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების ხელშემწყობ საერთაშორისო პროექტებში ფაკულტეტი ჩართულია იქნება თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

2017 წლის საგაზაფხულო სემესტრში 1 თანამშრომელმა/დოქტორანტმა და 1 ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტმა ჩაატარეს 1 თვიანი კვლევები ნორვეგიაში, 2018 წლის საგაზაფხულო სემესტრში 1 მაგისტრანტი ჩაატარებს კვლევებს ნორვეგიაში (1 თვე) სამაგისტრო ნაშრომის შესასრულებლად, 2017/18 სასწავლო წელს საშემოდგომო სემესტრი ისწავლა ნორვეგიის სამხრეთ-აღმოსავლეთის უნივერსიტეტში და წარმატებით დაამთავრა 1 სტუდენტმა; ზაფხულის სკოლებში მდგრად ტურიზმში ნორვეგიასა და ყირგიზეთში მონაწილეობა მიიღეს ტურიზმის სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამის 4 სტუდენტმა და 3 პროფესორმა. მიმდინარეობს მუშაობა ერთობლივ სასწავლო კურსების შექმნაზე.

2017 წლის 13-16 სექტემბერს, ნორვეგიაში გამართული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „ჩრდილო-ატლანტიკური ფორუმი“ მომხსენებელი 2 აკადემიური პერსონალი მიწვეული არიან მომდევნო „ჩრდილო-ატლანტიკური ფორუმში“ მონაწილეობის მისაღებად, რომელიც გაიმართება 2019 წელს კანადაში.

ინტერნაციონალიზაციის მხრივ გასაძლიერებელია მუშაობა ERASMUS + პროგრამის ფარგლებში credit mobility -ის მხრივ, რაც გაზრდის ახალგაზრდა მკვლევართა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობას და სხვა გაცვლითი კვლევით პროექტებში მონაწილეობას/

აგრარული ფაკულტეტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დეპარტამენტების მიხედვით

1. აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტი

კვლევების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არის დეპარტამენტის ლაბორატორიები: 1. ნიადაგთმცოდნეობის, მელიორაციისა და აგროეკოლოგიური მონიტორინგის ლაბორატორია 2. აგროქიმიისა და მიწათმოქმედების ლაბორატორია და 3. მცენარეთა დაცვის ლაბორატორია. ლაბორატორიებში განთავსებულია შემდეგი დანადგარები: წყლის სახდელი აპარატი, გამწოვი კარადა, PH მეტრი, ფოტოელექტროკოლორიმეტრი, ცენტრიფუგა. ლაბორატორიაში არსებული აპარატურითა და პირობებით შესაძლებელია კვლევებისთვის საჭირო შემდეგი ამოცანების განხორციელება: ნიადაგური ჭრილის მორფოლოგიური აღწერა, ნიადაგების კვლევისათვის ნიმუშების აღება, ფიზიკური და მექანიკური ანალიზების ჩატარება. ნიმუშებში შეგვიძლია განვსაზღვროთ მექანიკური შედგენილობა, ხირხატიანობა, ფორიანობა, ხვედრითი და მოცულობითი წონა, წყალგამტარობა, წყალტევადობა, სტრუქტურეზიანობა, პლასტიკურობა, ჰუმუსი ტიურინის მეთოდით (ფენილანტრალინის მჟავათი ან დიფენილამინით), P^H -პოტენციომეტრით (P^H მეტრით) წყლისა და კალიქლორის სუსპენზიაში, გაცვლითი და ჰიდროლიზური მჟავიანობა დაი-კუხარა კაპენის მეთოდით. ლაბორატორიებში არის ჭურჭელი: რკინის მასრები, ფაიფურის ჯამები, საზომი კოლბები, ერლენმეიერის კოლბები, სატიტრაცი ბიურეტები, ალუმინის და მინის ბიუქსები.

2. სუბტროპიკული კულტურების დეპარტამენტი

გამოიყენება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები, აგრარული ფაკულტეტის კომპიუტერული ბაზა, სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიები და სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი მეურნეობები;

ინტერნეტში ჩართული და ტრადიციული პროგრამების პაკეტით აღჭურვილი კომპიუტერული კლასები; „სუბტროპიკული კულტურების“ და „ტექნიკური კულტურებისა და სამკურნალო მცენარეების“ ლაბორატორია. სტუდენტები პარაქტიკულ უნარებს გამოიმუშავენ უნივერსიტეტის სასწავლო მეურნეობებში.

3. ტურიზმისა და ლანდშაფტური არქიტექტურის დეპარტამენტი

ლანდშაფტური არქიტექტურის მიმართულებით ფაკულტეტზე კვლევისათვის ყველა პირობები არის შექმნილი, ეს არის კომპიუტერული კლასი 14 უახლესი კომპიუტერით, აღჭურვილი ბაღ-პარკების პროექტირების 3Dპროგრამებით („Наш сад omega 6.0“, „Наш сад Кристаллверсия 10.0“, ასევე ArchiCAD, „Photo Land Designer 2“ და Photoshop). ასევე არის შევთეთრი და ფერადი პრინტერები, 2 პროექტორი, ფოტოაპარატი, ლაზერული შორმზომი, საზომი ბორბალი და სხვა მოწყობილობები, რომლებიც საშუალებას იძლევიან განხორციელდეს გარემოს აგეგმვა, მცენარეული საფარის შესწავლა და გამწვანებარეკონსტრუქციის პროექტების შექმნა 3Dპროგრამებით. მცენარეთა აგროტექნიკური

საკითხების შესწავლა-დამუშავება ხდება პარტნიორი ორგანიზაციის ტერიტორიაზე (ქ. ქუთაისის დეკორაციულ მცენარეთა სანერგე ი/ს „ნემო კაკუშაძე“), რომელიც კვლევებისათვის კარგ პირობებს ქმნის.

ტურიზმის მიმართულებით კვლევებისათვის არის შესაბამისი ინვენტარი/აღჭურვილობა, როგორცაა კარვები, საძილე ტომრები და სხვა.

4. აგროინჟინერიის დეპარტამენტი

1. ტრაქტორებისა და ავტომობილების კონსტრუქციების ლაბორატორია (აღწერილობითი კურსი) კაბინეტი
2. გამოყენებითი მექანიკის ლაბორატორია (კაბინეტი) აღჭურვილია თვალსაჩინო მასალებით: (მექანიკური გადაცემის მაკეტები, ცილინდრული, კონუსური, ჰიპოხრახნული რედუქტორები, პლანეტარული და ტალღური გადაცემის მაკეტები, საჩვენებელი პლაკატები)
3. ექსპლუატაციისა და რემონტის ლაბორატორია კაბინეტი. აღჭურვილია ავტომობილის ძრავების ჭრილები, სიჩქარეთა ყუთები სავალი ნაწილის კონსტრუქციები, წინა და უკანა ხიდები, საჭის მექანიზმები და სხვა კონსტრუქციული კვანძები.
4. კომპიუტერული კლასი აღჭურვილია კომპიუტერებით აუდიტორიაში ხორციელდება როგორც საბაკალავრო ისე პროფესიული პროგრამების სწავლება (აგროლოჯისტიკის ოპერატორის მეოთხე საფეხური)
5. ელექტრო ტექნიკისა და ელექტროამძრავების ლაბორატორია (კაბინეტი)
6. ლაბორატორია (კლასი) მანქანების მექანიზმებისა და მასალათმცოდნეობის. აღჭურვილია როკველის, ბრინელის და ვიკერსის სისალის საზომი მოწყობილობებით, დარტყმითი სიბლანტის საზომი ქანქარა ურნალით, მანქანებისა და მექანიზმების თვალსაჩინო კონსტრუქციებით.
7. ლაბორატორია (კაბინეტი) ურთიერთ შემცველობისა და ტექნიკური გაზომვების: აღჭურვილია : მზომი ხელსაწყო იარაღებით (მიკრომეტრები, კალიბრები, კალიბრატორები, უნიკალური კუთვნილმზომი, შტანგერფარგალი, კბილა გადაცემების კბილის სიმაღლის საზომები და სხვა.

ხელსაწყოები, დანადგარები, მოწყობილობები:

1. ტრაქტორი T150K, „სინტაი-18“, „სინტაი -180“;
2. გუთანი ექვსკორპუსიანი - 1 ცალი;
3. გუთანი ერთკორპუსიანი - 1 ცალი;
4. „მოტორ გრევერი“ (მოტობლოკი) – 1 ცალი;
5. „მოტორ ბუფერი“ მოტობლოკი – 1 ცალი;
6. გუთანი ორკორპუსიანი - 1 ცალი;
7. ფარცხი - 1 ცალი;
8. ორსექციანი სათესი - 1 ცალი;
9. კულტივატორი - 1 ცალი;
10. ფრეზი - 1 ცალი; სათიბელა - 1 ცალი;
11. სატრაქტორო მოსაბმელი - 2 ცალი;

12. მოტობლოკის კულტივატორი - 2 ცალი.

5. სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის დეპარტამენტი

დეპარტამენტს აქვს 5 სასწავლო – საკვლევი ლაბორატორია:

- ✓ სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის ლაბორატორია;
- ✓ ბიოტექნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის ლაბორატორია;
- ✓ აგრონედლეულის შენახვა – გადამუმავების ლაბორატორია;
- ✓ ქიმიური ანალიზისა და ექსპერტიზის ლაბორატორია;
- ✓ ბიოქიმიისა და სასურსათო პროდუქტების ლაბორატორია.

ლაბორატორიები აღჭურვილია ლაბორატორიული მოწყობილობებით, ქიმიური ჭურჭლითა და რეაქტივებით.

სასწავლო კურსების : ბიოქიმია, საინჟინრო ენზიმოლოგია, ბიოტექნოლოგია, საწარმოო მიკრობიოლოგია- განსახორციელებლად გამოყენებულია სპეციალური ლაბორატორიული სამუშაოების ნაკრები

ლაბორატორიებში სასწავლო და საკვლევი სამუშაოებისათვის გამოიყენება ლაბორატორიული მოწყობილობები: ტექნიკური სასწორი (BAKT-500-M), ანალიზური სასწორები (№51144; BAP-200), თერმოსტატები, წყლის გამოსახდელი კუბი (D3-2-4M; TY-64-1-721-79; №20722), წყლის აბაზანები პოლონური (LAZMA WODN TY LWmLmW3), კამოვსკის ტუმბო, მიკროსკოპები, ცენტრიფუგა, სანჯღრეველა WU 4, მუფელის ღუმელი-МП-2YM №47135, თერმოსტატი მიკრობიოლოგიური TC-8OY42N° 4430, რეფრაქტომეტრი ИРФ-454ББМ № 901174, ფოტოელექტროკოლორიმეტრი КФК-Z ; №911917, Ph მეტრი - 211

6. აგრარულ მიმართულებათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

ციტრუსოვანთა ნარგაობები:

N	გვარი	სახეობა	ასაკი	რაოდენობა
1	ციტრუსი	ლიმონი მეიერი	10წელი	15
2	ციტრუსი	ლიმონიმეიერი	4	10
3	ციტრუსი	ლიმონი ვილლაფრანკა	10	5
4	ციტრუსი	ლიმონი ქართული	5	1
5	ციტრუსი	ლიმონი დიოსკურია	4	1
6	ციტრუსი	მანდარინი საადრეო	5წელი	5
7	ციტრუსი	მანდარინი ფართოფოთლიანი უნშიუ	8 წელი	20
8	ციტრუსი	მანდარინი ფართოფოთლიანი	6წელი	2

		უნშიუ კლონიN2		
9	ციტრუსი	მანდარინი კოვანო-ვასე	5 წელი	6
10	ციტრუსი	მანდარინიმიჰო- ვასე	5 წელი	2
11	ციტრუსი	გრეიპფრუტი დუნკანი	10 წელი	6
12	ციტრუსი	გრეიპფრუტი იმერეთი	8 წელი	1
13	ციტრუსი	ადგილობრივი ფორთოხალი	4წელი	10
14	ციტრუსი	ჭიპიანი ფორთოხალი ვაშინგტონ ნაველი	8წელი	2
15	ციტრუსი	პომპელმუსი სადესერტო შედოკი	5წელი	6
16	ციტრუსი	პომპელმუსი მსხლისებური შედოკი	5წელი	10
17	ციტრუსი	იჩანგენზისის ლიმონი	4წელი	2
18	ციტრუსი	იჩანგენზისის რთული ჰიბრიდი „კავკასია“	6წელი	1
19	პონცირუსი	ჩვეულებრივი ტრიფოლიატა	2წელი	2000
20	პონცირუსი	ადრემსხმოიარე ტრიფოლიატა	6წელი	20
21	ფორტუნელა	კინკანი	5წელი	1
22	გრანტი 1-8/40 ჰიბრიდული თესლნერგები	თესლნერგები სხვადასხვა კომბინაციებით	4წელი	44

7. ნოსირისა და მუხიანის სასწავლო მეურნეობები:

1. ტრაქტორი „გოლდენ 118“ – 1 ცალი არა მუშა მდგომარეობაში
2. წყლის ბენზინის ტუმბო–1 ცალი
3. შესაწამლი აპარატი აკუმულატორით– 3 ცალი
4. შესაწამლი აპარატი ბენზინით – 1 ცალი
5. სათიბელა – 3 ცალი
6. სამყენი აპარატი– 2 ცალი
7. სასხლავი მაკრატელი– 4 ცალი
8. და სხვა სამუშაო ინვენტარი

